

ბრძანება

№3/284

09.11.2011.

ქ. თბილისი

**კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული
ობიექტებისათვის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის
სტატუსის მინიჭების თაობაზე**

საქართველოს უმნიშვნელოვანეს ისტორიულ-კულტურულ ფასეულობათა სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის, 59-ე მუხლის მე-2 პუნქტის და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 51-ე, 52-ე, 53-ე მუხლების შესაბამისად

ვბრძანებ:



1. მიენიჭოს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი ამ ბრძანების დანართში მითითებულ ობიექტებს.
2. დაევალოს კულტურული მემკვიდრეობის სტრატეგიის, ორგანიზაციების კოორდინაციისა და ნებართვების დეპარტამენტს ამ ბრძანების ამოქმედებიდან 1 თვის ვადაში ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული ობიექტების მონაცემების სამინისტროს ინტერნეტგვერდზე ასახვა.
3. ეთხოვოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს წარმომადგენლის შესაბამისი დასკვნები დანართებში მითითებული ძეგლებისათვის კატეგორიის მინიჭების თაობაზე.
4. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.



ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს მთავრობაში (მისამართი: ქ. თბილისი, პავლე ინგოროყვას ქუჩა №7)

მინისტრი

ნიკოლოზ რურუა

ბრძანების დანართი

№	ფოტო	სახელწოდება	ადგილმდებარეობა/ მისამართი	სახეობა	თარიღი
1.		დედადეთისას სახ. ეკლესია	სოფ. კურსები იმერეთი	არქიტექტურის	ადრეული შუა საუკუნეები
2.		კვირიკესა და ივლიტას სახ. ეკლესია	სოფ. კვირიკეშინდა რაჭა	არქიტექტურის	X-XI მიწნა
3.		ირმანოზ ერისთავის ციხე-სასახლე	დიდი მეჯვრისხევი შიდა ქართლი	არქიტექტურის	XVII საუკუნიდან XIX ს-მდე
4.		სოფ. ეკლესია სარფის	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	არქიტექტურის	შუა საუკუნეები
5.		ეკლესია “ძელიცხოველი“	სოფ. შუა სხვადა რაჭა	არქიტექტურის	XIX ს.

6.		წისქვილი	სოფ. მერეთი “ნიკრეულას“ უბანი შიდა ქართლი	არქიტექტურის	XIX ს-ის შუა წლები
7.		ღვთისმშობლის სას. ეკლესია	სოფ. ნორიო გარდაბანი	არქიტექტურის	XIX ს.
8.		წმ. “ესტატეს“ სას. ეკლესია	სოფ. ატენი “ჭეჭელაანთ უბანი“ შიდა ქართლი	არქიტექტურის	X ს.
9.		საცხოვრებელი სახლი, ბადი	მამულაშვილის ქ. №7 მცხეთა	არქიტექტურული	1923 წ.